



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 8

2016 წლის 8 თებერვალი



ხაშური

ხაშურში სპორტ კომპლექსის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

სპორტის განვითარებისა და სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება ხაშურში სპორტ კომპლექსის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულებაც 2 322 650,07 ლარი. ვინაიდან, აღნიშნული თანხა აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №175 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს ხაშურში სპორტ კომპლექსის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, საერთო ღირებულებით 2 322 650.07 ლარი (ორი მილიონ სამას ოცდაორი ათას ექვსას ორმოცდაათი და 07 ლარი) საიდანაც 2016 წელს განსახორციელებელი 1 217 051 (ერთი მილიონ ორას ჩვიდმეტი ათას ორმოცდათერთმეტი) ლარის სამუშაოები, ხოლო 2017 წელს - 1 105 599.07 (ერთი მილიონ ასხუთი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი და 07 ლარი) ლარის სამუშაოები აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე